სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის"
სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 2014 წლის 12-16 სექტემბერი, 15:00 საათი

სხდომის თავმჯდომარე-
კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ს. ბრიტანიშუკი
სხდომის მდივანი -
ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი გ.სულუხია
სხდომას ესწრებოდნენ:

კ. ბექაური	– კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის წევრი;
კ. ყურაშვილი	– სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი;
ს. შავგულიძე	– რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი;
ე. ასანიძე	– კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი;
ი. აბულაძე	– საფინანსო დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი;
ნ. ასპანიძე	– რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;
რ. ქურდაძე	– რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;
რ. მორგოშია	– ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;
ა. ყანჩაველი	– ადმინისტრაციული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;
გ. ყურმაშვილი	– ადმინისტრაციული დეპარტამენტის სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;
ხ. ყურაშვილი	– პრესმდივანი;
ნ. მელიქიძე	– კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი;
ა. ასანიძე	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რადიოტექნიკის და ტელემაუწყებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
უ. სეთური	– IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელი;
ნ. ძველიშვილი	– IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელი;
ა. დაბრუნდაშვილი	– არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" წარმომადგენელი;
მ. ანდღულაძე	– არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" წარმომადგენელი.

ს. ბრიტანიშუკმა, სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისა და მოწყობილობების შესაძენად ტენდერის გამოცხადების შესახებ" კომისიის 2014 წლის 26 ივნისის N340/8 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიის მიერ ახალი რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისა და მობილური სადგურის შესყიდვის მიზნით 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებულ SPA140019269 ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი კომპანია

ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG-ის წარმოდგენილი სატენდერო წინადადების განხილვის შესახებ
(მომხს. ს.ბრიტანჩუკი – კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე).

. მოისმინეს: კომისიის წევრის, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ს. ბრიტანჩუკის ინფორმაცია „რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისა და მოწყობილობების შესაძენად ტენდერის გამოცხადების შესახებ" კომისიის 2014 წლის 26 ივნისის N340/8 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიის მიერ რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისა და მობილური სადგურის შესყიდვის მიზნით 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებულ SPA140019269 ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი კომპანია **ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG**-ის წარმოდგენილი სატენდერო წინადადების განხილვის შესახებ, რომელმაც აღნიშნა, რომ „რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისა და მოწყობილობების შესაძენად ტენდერის გამოცხადების შესახებ" კომისიის 2014 წლის 26 ივნისის N340/8 გადაწყვეტილებით გამოცხადდა ტენდერი რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისა და მოწყობილობების შესაძენად; დამტკიცდა შესყიდვის ობიექტები: რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა და ერთი მობილური სადგური; ასევე, დაევალა: კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს შესყიდვის ობიექტის აღჭურვილობის (ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები) და აღწერილობის, როგორც მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები შესყიდვის ობიექტისადმი, დაზუსტება 2014 წლის 7 ივლისამდე; შესყიდვის ობიექტების დაზუსტებული ღირებულების დადგენა 2014 წლის 14 ივლისამდე; სატენდერო კომისიას კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე (წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში) ელექტრონული ტენდერის გამოცხადების მიზნით სატენდერო განცხადების შემუშავება ქართულ და ინგლისურ ენაზე; სატენდერო კომისიის მოსამზადებელი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 24 ივლისი 12:00; ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 28 ივლისი 12:00. ამავე გადაწყვეტილებით, დაევალა კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტთან შეთანხმებით შესყიდვის განსახორციელებლად საჭირო ცვლილებების ასახვა კომისიის შესყიდვის წლიურ გეგმაში, ხოლო კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს აღნიშნული გადაწყვეტილების ინტერნეტში კომისიის გვერდზე დაუყონებლივ გამოქვეყნება;

მომხსენებელმა, ასევე, აღნიშნა, რომ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 26 ივნისის N340/8 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" კომისიის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამისად, შევიდა ცვლილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 26 ივნისის N340/8 გადაწყვეტილებაში და სატენდერო კომისიის მოსამზადებელი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 5 აგვისტო, 12:00 საათი, ხოლო, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თარიღად - 2014 წლის 11 აგვისტო, 12:00 საათი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტენდერის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სატენდერო კომისიის სხდომებზე დამკვირვებლებად მოწვეულები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ სოფიო ბრიტანჩუკმა აღნიშნა, რომ კომისიის მიერ 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერში SPA140019269 მხოლოდ ერთმა კომპანია **ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG**-მა შემოიტანა სატენდერო წინადადება და მიმდინარე მოსამზადებელ სხდომაზე უნდა განხორციელდეს შემოთავაზებული სატენდერო წინადადების შესაბამისობის დადგენა სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან.

აზრი გამოთქვეს:

ს. შავგულიძემ, რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსმა, სატენდერო კომისიის წევრმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ელექტონული ტენდერი კომისიის მიერ გამოცხადებულია რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისა და მობილური სადგურის შესყიდვის მიზნით და კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ გაწერილ იქნა ის ტექნიკური პარამეტრები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნული სისტემა და დანართის სახით არის მოცემული;

ს. ბრიტანჩუკმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია სხდომაზე ტექნიკური წინადადების გამოქვეყნება;

ს. შავგულიძემ აღნიშნა, რომ კომისიას ესაჭიროება ერთი ერთეული რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის მობილური საპელენგაციო სადგური, არანაკლებ შემდეგი მონაცემებისა:

ნიმღები მოწყობილობა:

- მგრძნობიარობის მაჩვენებელი: არაუმეტეს -105 dBm;
- მიღების რეჟიმი: 20 MHz დან 3 GHz მდე;
- მიღების რეჟიმის სკანირების სიჩქარე 2 GHz/sec;
- სპექტრში დაკვირვების ზოლის ასახვის სიგანე მინიმუმ 20 MHz;
- დემოდულაციის ზოლის სიგანე მინიმუმ 20 MHz;
- შუალედური სიხშირის სპექტრის დეტალური ასახვის რეჟიმი განიერი სიხშირული ზოლისათვის;
- მიღების პროცესში სიგნალის ანალიზი;
- პელენგაციის რეჟიმი: 20 MHz დან 3 GHz მდე;
- 173მჰც-მდე პელენგაცია ვატსონ-ვატის მეთოდით;
- 173მჰც-ის ზევით პელენგაცია კორელაციური ინტერფერომეტრის მეთოდით;
- პელენგაცია ტრიანგულაციის მეთოდის გამოყენებით;
- ციფრული რუკების ინტეგრირების შესაძლებლობა;
- ანალიტიკური/ავტომატური პელენგაციის პროცესი მობილური ლოკატორის ფუნქციის მქონე პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით;
- დავალებების მართვის ინტერფეისი;
- სრულყოფილი მართვის პროგრამული მხარდაჭერა.

3. ბექაურმა, კომისიის წევრმა, სატენდერო კომისიის წევრმა, რომელმაც დააყენა წინადადება, რომ რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტმა გააცნოს დეპარტამენტის დასკვნა ტენდერში მონაწილე კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინადადების თაობაზე;

ს. შავგულიძემ აღნიშნა, რომ კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG-ის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადება ძირითად აკმაყოფილებს სატენდერო განცხადების მოთხოვნებს, თუმცა გააჩნია რიგი შენიშვნები. კერძოდ:

1. სატენდერო წინადადების მე–2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „ელექტრონული ტენდერის ტექნიკური დავალების მიხედვით, შესყიდვის ობიექტის მიწოდება შემსყიდველისთვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 13 კვირის განმავლობაში". პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური წინადადების მიხედვით კი, პროგრამული უზრუნველყოფის განახლება მობილური ლოკატორის ოფციისთვის მიეწოდება და დაინსტალირდება საქონლის მიწოდებიდან 8 (ინგლისურ ვერსიაში 6) თვის შემდეგ. შესაბამისად ირღვევა მოწოდების ვადები და ასევე გაუგებარია, რა იგულისხმება პროგრამულ განახლებაში, თუ ის არ იქნა თავდაპირველად მოწოდებული;
2. გაუგებარია სატენდერო წინადადების პუნქტი 6, რომლის ქართული და ინგლისური ვერსიები განსხვავებულია. ერთში მითითებულია 39 თვე, მეორეში – 19 თვე. შესაბამისად, აღნიშნული პუნქტი დასაზუსტებელია;
3. არ სრულდება სატენდერო განცხადების პუნქტი 7, რომლის მიხედვითაც შესყიდვის ობიექტის განახლება და ტექნიკური მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ, შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ სამი წლის განმავლობაში. კერძოდ, კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG-ის შეთავაზება კი გულისხმობს პროგრამული განახლებისათვის საჭირო სერვისის და ტექმომსახურების დამატებითი კონტრაქტის გაფორმებას, რაც არ ყოფილა სატენდერო წინადადებაში;
4. სატენდერო წინადადების პუნქტი 13–ს შესაბამისად, ანალიტიკური/ავტომატური პელენგაციის პროცესი მობილური ლოკატორის ფუნქციის მქონე პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით ტენდერის ტექნიკური დავალების მიხედვით უნდა განხორციელებულიყო კონტრაქტზე ხელის მოწერის დღიდან 13 კვირის განმავლობაში და არა 9 თვის ვადაში, როგორც ეს კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG-ის ტექნიკურ დავალებაშია აღნიშნული.
5. ტენდერის ტექნიკური დავალება ითვალისწინებს ITU SMS4DC სპექტრის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრაციას, რისთვისაც როგორც კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG-ის ტექნიკურ დავალებაშია აღნიშნული, საჭიროა SMDI ოფცია, რომელიც არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ წინადადებაში. ამ ოფციის გარეშე ინტეგრაცია, მისი აზრით, ვერ მოხერხდება.

ს. შავგულიძემ დაამატა, რომ საჭიროა ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტება.

გ. სულუხიამ, კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა, სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა აღნიშნა, რომ გააჩნია შენიშვნები, კერძოდ: 1. სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი იყო, რომ პრეტენდეტი კომპანია უნდა ყოფილიყო შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიციის მქონე, რომელსაც ექნებოდა მსგავსი ტიპის სისტემების დანერგვის და მომსახურების გაწევის

არანაკლებ 20 (ოცი) წლის გამოცდილება მინიმუმ მსოფლიოს 50 (ორმოცდაათი) ქვეყანაში, რომელთაგან 30 ქვეყანა უნდა ყოფილიყო ევროპის ქვეყანა, რის თაობაზეც ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის და შესაძლებელია, მოთხოვნილი იქნეს აღნიშნული ინფორმაციის დაზუსტება და სრულად წარმოდგენა. ასევე, ტექნიკური წინადადების შესაბამისად, მოთხოვნილი იყო, რომ ინსტალაცია უნდა განხორციელდეს 2 კვირის განმავლობაში, თუმცა წარმოდგენილ წინადადებაში აღნიშნულია, რომ ამ და ტრენინგის ჩატარების საკითხებზე შეთანხმება უნდა შედგეს კონტრაქტის გაფორმების დროს. შესაბამისად, მისი აზრით, კომისიამ უნდა დააზუსტებინოს პრეტენდენტ კომპანიას ინსტალაციის პირობები, რაც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 2 კვირას, ხოლო ტრენინგი უნდა ჩატარდეს უფასოდ 3 დღის განმავლობაში.

მან, ასევე აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვისა და ადმინისტრაციული დეპარტამენტების შენიშვნები, რომლებიც არ არის არსებითი ხასიათის, გაზიარების, ასევე პრეტენდენტის მიერ ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაზუსტებისა და მათ პირველად სატენდერო განცხადებასთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში, შესაძლებელია გაგრძელდეს შესყიდვის პროცედურა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მან დაამატა, რომ ამავე დროს არ უნდა იქნეს გაზრდილი შესყიდვის ღირებულება, ვინაიდან აღნიშნული ცვლილება ავტომატურად იქნება კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG-ის დისკვალიფიკაციის საფუძველი.

კითხვა–პასუხი:

ბ. ბექაური: სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი იყო 20-წლიანი გამოცდილება, ასევე პრეტენდეტი კომპანია უნდა ყოფილიყო შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიციის მქონე, რომელსაც ექნებოდა მსგავსი ტიპის სისტემების დანერგვის და მომსახურების გაწევის არანაკლებ 20 (ოცი) წლის გამოცდილება მინიმუმ მსოფლიოს 50 (ორმოცდაათი) ქვეყანაში, რომელთაგან 30 ქვეყანა უნდა ყოფილიყო ევროპის ქვეყანა. კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG–ს აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი არ აქვს. თუ დააზუსტებს ინფორმაციას და აღმოჩნდება, რომ 50–ის ნაცვლად 49 ქვეყანაში აქვს დანერგილი აღნიშნული სისტემა, კომისია, კანონის შესაბამისად, ვალდებულია შეწყვიტოს ტენდერი?

ს. სულუხია: დიახ. ეს არის მინიმალური მოთხოვნა: **კომპანიის გამოცდილება ანალოგიური სერვისების მიწოდებაში: 20 წელი ან მეტი; ანალოგიური სისტემების დანერგვა სხვა ქვეყნებში:** მსოფლიოს 50 ქვეყანა ან მეტი, მათ შორის ევროპის 30 ქვეყანა ან მეტი. კომისიის მიერ გამოცხადებული იყო პრეტენდენტი კომპანიის მიმართ მინიმალური მოთხოვნები;

ბ. ბექაური: ასეთ სერიოზულ პროდუქტზე, მსოფლიოს მნიშვნელოვან კომპანიებს მინიმუმ შეიძლება აქონდეს 20–წლიანი გამოცდილება. თუმცა, 50 ქვეყანაში, მათ შორის 30 ევროპულ ქვეყანაში სისტემის დანერგვის გამოცდილების მოთხოვნა, ჩემი აზრით, შედარებით მკაცრი მოთხოვნაა;

ს. ბრიტანჩუკი: ბუნდოვნად არის წარმოდგენილი სატენდერო წინადადებაში ტექნიკური მხარდაჭერისა და განახლების შესახებ შემოთავაზება, ასევე მეორე ნაწილში მოთხოვნილია ცალკე კონტრაქტი. არ მგონია, რომ ცალკე კონტრაქტის გაფორმება პრობლემა იყოს, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს კომისიის მიერ გამოცხადებული სატენდერო ფასის გაზრდა;

ბ. ბექაური: გეთანხმებით. ეს შეიძლება კავშირში იყოს იმასთან, რომ მოწოდების კონტრაქტი ერთჯერადია და დაიხურება მაშინ, როდესაც მოწოდებული იქნება სერვისი, ხოლო იმ ნაწილში, რაც 3 წელი გრძელდება, შეიძლება ცალკე შეთანხმება შედგეს;

ე. სეთური, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელი: გვაქვს კითხვები, წერილობით არის მოთხოვნილი ინფორმაცია, წერილი დღეს ჩაბარდა კომისიას. რა მიზანს ემსახურება ევროპულ ქვეუნებში სისტემის დანერგვის გამოცდილების მოთხოვნა, გაურკვეველია. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა მოიძია მონაცემები, ამერიკაში, აზიაში ძალიან ბევრი კომპანია მუშაობს საკმაოდ წარმატებულად, თუმცა შეიძლება 20–წლიანი გამოცდილება არ ჰქონდეთ. ვფიქრობთ, აღნიშნულმა და კიდევ სხვა მოთხოვნებმა გამოიწვია სწორედ ის, რომ მხოლოდ ერთი პრეტენდენტია წარმოდგენილი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად;

ბ. ბექაური: ტენდერის გამოცხადების ეტაპზე იყო მსჯელობა აღნიშნულ საკითხებზე;

ნ. ასპანიძე, კომიისის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ზემოაღნიშნული მოთხოვნა, ევროპის 30 ქვეყანაში სისტემის დანერგვის გამოცდილების შესახებ განპირობებული იყო იმით, რომ კომპანიებს, ვისაც წარმოდგენილი ექონდა გამოფენებზე პროგრამული უზრუნველყოფა, აცხადებდნენ, რომ აქვთ ევროპის უმეტეს ქვეყანაში აქვთ გაყიდული პროგრამული უზრუნველყოფა. შესაბამისად, კომისიამ მოთხოვნაში გაითვალისწინა ევროპის ქვეყნების (50 ქვეყანა) ნახევარზე მეტი. იმიტომ იყო კონკრეტულად ევროპულ ქვეყნებში

ამოცდილების ქონა მოთხოვნილი, რომ სიხშირული განაწილების გეგმა გვაქვს იგივე, რაც არის ევროპაში. ესაბამისად, საპელინგაციო სისტემების ვატსონ-ვატის და კორელაციური ინტერფერომეტრის მეთოდები ამოყენებული არის ამ სიხშირული განაწილების მიხედვით. 173მჰც აღებულია რადგანაც ამ დიაპაზონამდე ვთვლით მიზანშეწონილად გამოვიყენოთ ვატსონ-ვატის მეთოდი და ამის ზევით ინტერფერომეტრის ეთოდი. 174მჰც–დან იწყება სატელევიზიო სიხშირეების დანერგვა ციფრული მაუწყებლობისთვის და არ იგვაჩნია მიზანშეწონილად ამისთვის გამოყენებულ იქნეს ვატსონ-ვატის მეთოდი და ამიტომ შევუსაბამეთ ევროპულ განაწილებას. შესაძლებელია, რომ ამერიკის ან აზიის ქვეყნებში იყოს სულ სხვა განაწილება და ის ეთოდი შეიძლება ყოფილიყო სხვა სიხშირულ ზოლში გამოყენებული. ამდენად, ამისათვის თავის ასარიდებლად, კომისიამ გამოიყენა ევროპული განაწილების მეთოდი. ამ ტიპის აპარატურას მხოლოდ კომისიის მსგავსი ორგანიზაციები არ ყიდულობენ. ამას ყიდულობენ თავდაცვის სისტემებისთვის, უშიშროებისთვის და ა.შ. შესაბამისად, ძალიან ბევრი შეიძლება იყოს გაყიდული კომპანიების მიერ;

კ. ბექაური: თუ შეგიძლიათ რამდენიმე კომპანია მაინც ჩამოთვალოთ, რომლებსაც 20 ან 20–ზე მეტწლიანი ამოცდილება აქვს ამ სფეროში?

ნ. ასპანიძე: მაგ. „თადირანი", ისრაელის კომპანია, რომელიც 1962 წლიდან მოღვაწეობს ამ სფეროში, თურქული კომპანია „ასელსანი", რომელიც 1970 წლიდან მოღვაწეობს, ამერიკული კომპანია „ჰარისი", რომელსაც წარმომადგენელი ჰყავდა საფრანგეთში და ა.შ.

ს. ბრიტანჩუკი: 20–წლიანი გამოცდილების მოთხოვნა შეფასებითი კატეგორიაა. კომისიას 3–ჯერ მეტი აპარატურა ესაჭიროება საერთო ჯამში და ეტაპობრივად ახდენს შესყიდვას ბიუჯეტიდან გამომდინარე. საბოლოოდ კომისიას ექნება სრულყოფილი მონიტორინგის სისტემა. სატენდერო კომისიისთვის თავიდანვე მნიშვნელოვანი იყო, არ დაეშვა შეცდომა. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ 5–წლიანი გამოცდილების მქონე კომპანიას შეიძლება ჰქონდეს იგივე, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ საკმაოდ რთულ აპარატურაზეა საუბარი, რომელსაც წლები სჭირდება ტესტირებისთვის, რომ რაიმე ხარვეზი არ იყოს გაპარული. აქედან გამომდინარე ფიიჩნია კომისიამ, რომ სწორედ 20 წელი იყო სათანადო ვადა. თუ კომპანია 20 წელი ოპერირებს ბაზარზე და არის კვლავ აქტიური, ჩავთვალეთ, რომ იქნებოდა ნაკლები ალბათობა იმისა, რომ აპარატურა იქნებოდა ხარვეზიანი. გამოცდილების ვადა შეფასებითი კატეგორიაა. კომისიის წევრები შევთანხმდით მსჯელობის შედეგად, რომ 20 წელი იყო ოპტიმალური ვადა, მითუფრო, რომ ბაზარზე არსებობენ კომპანიები, რომლებსაც ამდენწლიანი გამოცდილება გააჩნიათ;

ს. შავგულიძე: ბატონი სეთურის წერილში დასმულია კითხვა შესასყიდი ნივთების კომისიის საკუთრებაში არსებულ აპარატურასთან თავსებადობას კუთხით და აღვნიშნავ, რომ კომისიაში არსებული FSP 3 და FSP 30 ანალიზატორის ფუქციონირებისთვის საჭირო იყო ახალი შესაყიდი სისტემის არსებულთან თავსებადობა;

ე. სეთური: კომისიაში არსებული აპარატურა რა ღირებულებისაა, რომელთან თავსებადიც უნდა იყოს შესასყიდი ობიექტი?

ნ. ასპანიძე: ანალიზატორი დაახლოებით 60 ათასი ევრო ღირს. 3 არის FSP 3 და ერთი არის FSP 30, რომელიც ნაცილებით მეტი ღირებულებისაა;

ე. სეთური: მოთხოვნა, რომელიც იქნა წამოყენებული, გამორიცხავდა სხვა კომპანიის მონაწილეობას ტენდერში?

ს. შავგულიძე: არ გამორიცხავდა. კომპანია, რომელმაც აპარატურა მოგვყიდა, არ აწარმოებდა სოფტს, თუმცა ამ ტიპის კომპანიებსაც შეეძლოთ ტენდერში მონაწილეობა;

ე. სეთური: როდესაც დაანგარიშდა საწყისი საფასური, ჩატარდა თუ არა ცელკე მოკვლევა? მიმართა თუ არა კომისიამ ამ კომპანიებს თუ გამოფენებიდან მიღებული ინფორმაციით იხელმძღვანელა?

ს. შავგულიძე: სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციით ვიხელმძღვანელეთ;

ე. სეთური: კარგი იქნება, თუ ეს გასაჯაროვდება;

ნ. ასპანიძე: კონკრეტულ ფასს არცერთი კომპანია ამბობს, ეს არის ძირითადად გამოფენებიდან, ამოკითხვიდან მიღებული სავარაუდო ფასები. კომისიას ჰქონდა გამოცდილება ადრე ჩატარებული ტენდერიდან, ასევე კომისიის ბიუჯეტის გათვალიწინებით;

ე. სეთური: თუ ხელშეკრულება გაფორმდება ამ კომპანიასთან, დანარჩენი 2 შესყიდვის დროს მოუწევს კომისიას იმავე კომპანიასთან თანამშრომლობა, ვინაიდან ტენდერი დაყოფილია ხელოვნურად;

ბ. სულუბია: სატენდერო წინადადებაში არ იყო მოთხოვნა, რომ უსათუოდ მწარმოებელი კომპანია უნდა ყოფილიყო მონაწილე. შესაძლებელი იყო ყოფილიყო მისი დილერი, რომელსაც კარგი ფასდაკლებები ექნებოდა;

კ. ბექაური: თავიდანვე დავაყენე წინადადება, რომ საერთოდ არ გამართულიყო ტენდერი, აგვეღო 3 პირველი ძლიერი კომპანია, პროცესი გაგვეხადა გამჭვირვალე და ასეთ ფორმატში მიგვეღო გადაწყვეტილება. თუ

კომისია პოზიტიურ გადაწყვეტილებას მიიღებს, თავსებადი აპარატურის შემდგომი შესყიდვა კიდევ უფრო გაგვიჭირდება;

ს. ბრიტანჩუკი: ეს არ გამორიცხავს, რომ სხვა კომპანიამ მიიღოს მონაწილეობა ტენდერში;

უ. სეთური: პროგრამული უზრუნველყოფა არის ისეთი რამ, რაც შეიძლება სხვა კომპანიის მონაწილეობას გამორიცხავდეს;

ს. ბრიტანჩუკი: ბატონო უჩა, თქვენ რომელ კომპანიებს გულისხმობდით, რომელსაც 5–წლიანი გამოცდილება აქვთ და შეეზღუდათ ტენდერში მონაწილეობა?

უ. სეთური: მოგაწვდით ამ ინფორმაციას. ამის კვლევა მიმდინარეობს. ჩვენთვის, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ არ იყო ფასის კლება. კომპანია **ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG**–ს ავტორიტეტი ეჭვქვეშ დასაყენებელი ნამდვილად არ არის, თუმცა, ჩვენი აზრით მაღალხარისხიანი პროდუქციის დაბალ ფასად შეძენა არ მოხდა;

ს. ბრიტანჩუკი: როგორ უნდა გამოსულიყო ეს?

უ. სეთური: უფრო მეტი ჩართულობით და მეტი კომპანიის მონაწილეობით;

ს. ბრიტანჩუკი: ამ შესყიდვას დიდი ხანია გეგმავს კომისია, ამის გამო საგამოძიებო კომისიის მიერაც დაიტუქსა. ეს ახალი არ არის, კომისიის დეპარტამენტები მოიპოვებდნენ ინფორმაციას, გამოფენებზე, შეხვედრებზე და ა.შ. ყველა სერიოზულ მომწოდებელს აქვს ინფორმაცია, რომ კომისია ამ შესყიდვას გეგმავს, ინფორმაცია გავრცელებული იყო ინგლისურ ენაზეც. კომისიას წერილი და მოწვევა არ გაუგზავნია მომწოდებლებისთვის, თუმცა კანონმდებლობის მოთხოვნები იყო სრულად დაცული, პროცესი იყო გამჭვირვალე. კომისიას არ ჰქონდა ვალდებულება, სატენდერო სხდომაზე მოეწვია არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ არის საპასუხისმგებლო შესყიდვა, ამავე დროს კომისიის სურვილია, რომ არ დაუშვას შეცდომა, არ გაჩნდეს კითხვები პროცესთან დაკავშირებით. თუ არასამთავრობო ორგანიზაციები და სპეციალისტები ხედავენ რაიმე კანონდარღვევას ან არასწორ ქმედებას, ვთხოვთ, მიგვითითონ;

ა. ასანიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რადიოტექნიკის და ტელემაუწყებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: როდესაც გავეცანი წარმოდგენილ წინადადებას, ძალიან მომეწონა, ვინაიდან კომპანია **ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG არის** ერთ–ერთი საუკეთესო ბაზარზე, რომელიც არ ჩაიდენს სიყალბეს და მოგვაწვდის ხარისხიან აპარატურას. მითუფრო, რომ შესყიდული უნდა იქნეს აპარატურა სახელმწიფოს მასშტაბით მონიტორინგის ჩასატარებლად. მნიშვნელოვანია, რომ თავსებადობა არსებულ ქსელთან არის დაცული, არ დასჭირდება ზედმეტი შევსება, კომპანია თავად უზრუნველყოფს იმას, რომ ძველ აპარატურასთან თავსებადი იყოს შესასყიდი აპარატურა. ასევე მისაღებია ფასი და მოსაწონია პროგრამული უზრუნველყოფა როგორც ცენტრალური ოპერატორის, ასევე არსებული სტაციონალური აპარატურისთვის. შემოსული არის არსებული მონიტორინგის სადგურისათვის, რაც ძალიან კარგია. ამას ემატება ახალი ძიების სადგურები და ა.შ. საქართველო გადადის ციფრულ ტელემაუწყებლობაზე და ეს ახალი სისტემა ძალიან კარგი იქნება. ძალიან ბევრი ფირმა უშვებს ანალოგიურ აპარატურას, მაგრამ კომპანია **ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG**–ის გამოცდილება არის უდიდესი, გააჩნია დადებითი ხასიათი, გამოირჩევა თავისი სრულყოფილებით და დიდი ხანია მუშაობს ამ მიმართულებით. მიმაჩნია, რომ არ არის აუცილებელი, დიდი ხანი მუშაობდეს კომპანია, მან შეიძლება სწრაფად აითვისოს ახალ ტექნოლოგიები და შესთავაზოს მრავალ ქვეყანას, მაგრამ კომპანია **ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG**–ი არის გერმანული ფირმა, რომელიც მუშაობს ამ დარგში, როგორც გამზომი, ისე მიმღები აპარატურის ერთ–ერთი მოწინავე მწარმოებელია და არ მგონია, რომ რაიმე იყოს დასაეჭვებელი. ჩემი აზრით, ფასებიც არ არის დიდი. ესპანური ფირმა „პრომაქსი" უშვებს ამავე აპარატურას, მას ფასები მაღალი აქვს. ჯამურად რომ ავიღოთ, მათი ფასები არანაკლები გამოვა, მაგრამ ხარისხის შედარებაც არ შეიძლება. თუ უკეთესს ავირჩევთ და იმის შეძენას შევძლებთ, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი სახელმწიფოსთვის და რადიოტექნიკური საქმიანობისთვის. რაც შეეხება ვადებს და შენიშვნებს, რაც სხდომაზე გამოითქვა, კომისიის გადასაწყვეტია, რამდენად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში. მაგრამ კომპანია **ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG**–ის შეთავაზება არ მგონია, რომ იყოს საეჭვო;

ს. ბრიტანჩუკი: კომისიის მხრიდან გართულებული მოთხოვნების წაყენება სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, უნდა ყოფილიყო გამოცდილი და კვალიფიციური კომპანია, ვინც ტენდერში მიიღებდა მონაწილეობას. სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ უნდა მომზადდეს წერილი და მკაფიოდ განიმარტოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო მოთხოვნები სრულად არ იქნება დაკმაყოფილებული, ეს იქნება კომპანიის დისკვალიფიკაციის საფუძველი. რაც შეეხება იმ ნაწილს, რაზეც გვაცნობებენ, რომ მოგვიანებით მოგვაწვდიან, ეს იყო ტექნიკური დავალების ნაწილი. ანგარიშსწორება კომისიას უწერია ჯერ 30% და შემდეგ 70%–ის გადახდა მხარეთა შეთანხმებისამებრ;

ს. სულუხია: დიახ. ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა იქნეს წარმოდგენილი მთლიანი ღირებულების 2%–ის ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე კონტრაქტის მოქმედების ვადაა. ამის შემდეგ შესაძლებელია 30%–იანი წინმსწრები ანგარიშსწორება, რომელზეც ასევე საბანკო გარანტია უნდა იქნეს წარმოდგენილი მომწოდებლის მიერ. ამის შემდეგ არის შესაძლებელი, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, 70%–ის გადახდა;

ს. ბრიტანჩუკი: თუ მოწოდება განხორციელდება გვიან, კომისიამ უნდა დაიტოვოს გარკვეული თანხა. თუმცა კომპანია არის საკმაოდ სოლიდური და არ მგონია, რაიმე პრობლემა შეიქმნას. აღნიშნული მაინც უნდა დაუდგინდეს ხარვეზად;

ს. სულუხია: ყველა შენიშვნა გათვალისწინებული იქნება და აისახება კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG–ის მიმართ გაგზავნილ წერილშიც;

ს. ბრიტანჩუკი: ასევე, თარგმანებში არსებული გაურკვევლობა უნდა გასწორდეს;

ს. სულუხია: თუ კომპანია არ დააზუსტებს ინფორმაციას კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ან დააზუსტებს და არ იქნება შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ავტომატურად დისკვალიფიცირებული იქნება;

ბ. ანდღულაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" წარმომადგენელი: თუ კომპანია გამოასწორებს ხარვეზს, ეს ხომ არ გამოიწვევს ამ ერთ კომპანიაზე მიჯაჭვას, ვინაიდან კომისიას კიდევ აქვს აპარატურა შესაძენი? ტენდერის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია თუ გადაიგზავნა მწარმოებელ ან დისტრიბიუტორ კომპანიებში? გაუგებარი დარჩა ჩემთვის, როგორ მოხდა ფასის დადგენა? თუ არის ბაზართან მიახლოებული ფასი, რატომ არ მიიღო მონაწილეობა სხვა კომპანიებმა?

ნ. ასპანიძე: ფასი დამოკიდებული არის ოფციებზე. კონკრეტულ ფასს არავინ ასახელებს. სხვა კომპანიებსაც შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ტენდერში. აპარატურა არის ძალიან სპეციფიური და უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრი მწარმოებელი არც არის. მწარმოებელთა უმეტესობისთვის ცნობილი იყო, რომ კომისია აპირებდა აპარატურის შეძენას. კონკრეტულად კი შეტყობინებები არ დაგვიგზავნია. რაც შეეხება ერთ კომპანიაზე მიჯაჭვულობას, განვმარტავ, რომ ამის საფრთხე არ არის. არიან სხვა კომპანიებიც, რომლებმაც თავიანთი პროგრამული უზრუნველყოფა შეიმუშავეს ამ მოწყობილობებზე და არც თუ ცუდად მუშაობენ. შემიძლია დავასახელო პოლონური კომპანია, რომელსაც ლიცენზიაც გააჩნია;

უ. სეთური: გასაგებია, რომ არცერთ კომპანიასთან გაგზავნილა კონკრეტული ჩამონათვალი. დაისვა თუ არა კითხვები რომელიმე მწარმოებელი კომპანიის, ან თუნდაც კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG–ის მხრიდან დაზუსტების მიზნით ან რაიმე სხვა სახის? აღნიშნული არ ჩანს სისტემაში;

გ. სულუხია: არ დასმულა კითხვები. ეს გამოჩნდებოდა სისტემაში და პასუხიც იქნებოდა გაცემული;

კ. ყურაშვილი: თუ კომპანიის წინადადებაში რაიმე გაუგებარია, ბუნებრივია ის უნდა დაზუსტდეს, ამისთის ჩვენ მას ხარვეზი უნდა დაუდგინოთ; თუმცა გაუგებარია როგორ უნდა დაზუსტდეს, ის რაც არ წარმოუდგენია. როგორც გავიგე ერთ–ერთ პროგრამულ უზრუნველყოფას არ აქვს კონკრეტული ოფცია.

გ. სულუხია: წესი, რომელიც ითვალისწინებს დაზუსტების პრინციპს, განსაზღვრავს, რომ შეიძლება მოხდეს სატენდერო წინადადების დაზუსტება იმ შემთხვევაში, თუ არის ტექნიკური შეცდომა, რაიმე უზუსტობა, რომელიც არ გაზრდის სატენდერო წინადადების ღირებულებას;

კ. ყურაშვილი: მიუხედავად იმისა, რომ მე არ მიმიღია მონაწილეობა სატენდერო წინადადების შედგენაში, ფაქტი ფაქტად რჩება კომპანიას არ აქვს მისი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი; კერძოდ, რამდენ ქვეყანაშია დანერგილი მისი პროდუქცია, რამდენი წელია რაც ბაზარზეა და ა.შ. მთელ რიგ შემთხვევებში სატენდერო წინადადებასთან შეუსაბამო ვადებია სამუშაოს შესრულებისთვის წარმოდგენილი. არ მესმის მაგალითად 13 კვირიან ვადამდე როგორ უნდა დაზუსტდეს 6 ან 8 თვიანი შესრულების ვადები. ჩემი აზრით, კომპანიას ხარვეზები კი არ უნდა დაუდგინდეს, არამედ დისკვალიფიკაციის თაობაზე უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება.

ს. ბრიტანჩუკი: კომისიას ფასთან დაკავშირებით, შენიშვნები არ გააჩნია. არასამთავრობო ორგანიზაციებს თუ გაქვთ რაიმე კვლევა ჩატარებული და თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია?

უ. სეთური: ვებგვერდიდან, ან სხვა საშუალებით, შეუძლებელია ინფორმაციის მიღება, თუ არ იქნა პირდაპირი კომუნიკაცია და კონკრეტულ ოფციაზე არ იქნა ფასი მოთხოვნილი. იმის თქმა, რომ ამ ინფორმაციას მოვიპოვებთ, იქნება არასწორი. ჩვენ გვეგონა, რომ ზედა ზღვრული ფასის დადგენა მოხდა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით;

ს. შავგულიძე:

ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG-ის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მონაცემები შეესაბამება სატენდერო განცხადებით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა სატენდერო წინადადება საჭიროებს დაზუსტებას.

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტმა არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს დაზუსტებული სატენდერო წინადადების წარმოდგენა შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით.

კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით (მომხრე – 5, წინააღმდეგი – 1 (კ.ყურაშვილი), კომისიამ დაადგინა:

კომპანია ROHDE & SCHWARZ GmbH & Co. KG-ის სატენდერო წინადადების ტექნიკურ დავალებასთან წარმოდგენილი შენიშვნები საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ დასაზუსტებელია:

ა. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, იხილეთ პირველ გვერდზე პუნქტი 2;

ბ. პროგრაბული განახლებისა და ტექნიკური მხარდაჭერის პირობები;

გ. დასაზუსტებელია მე-3 გვერდზე პუნქტი 6;

დ. დასაზუსტებელია მე-3 გვერდზე პუნქტი 7;

ე. დასაზუსტებელია მე-3 გვერდზე პუნქტი 8 - ინსტალაციის პირობები;

ვ. დასაზუსტებელია მე-7 გვერდზე პუნქტი 13:

ზ. ტექნიკური დავალება ითვალისწინებს ITU SMS4DC სპექტრის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრაციას, ხოლო პრეტენდენტის წინადადებაში აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა SMDI ოფცია, რომელიც არ არის გათვალისწინებული შემოთავაზებაში;

თ. წარმოსადგენია გამოცდილების შესახებ ინფორმაცია;

ი. წარმოსადგენია ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის სახელი/გვარი/თანამდებობა და კომპანიის რეკვიზიტები.

1. "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად, ეთხოვოს პრეტენდენტს სატენდერო წინადადების დაზუსტება 2014 წლის 20 სექტემბრამდე;

2. დაევალოს შესყიდვების კომისიის აპარატს (სულუხია): წინამდებარე ოქმისა და პრეტენდენტთან გაგზავნილი წერილის ატვირთვა შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
სოფიო ბრიტანიშვილი

სატენდერო კომისიის წევრები:

ბაბა ბექაური

იოსებ აბულაძე

ელისო ასანიძე

ბაბა ყურაშვილი

სერგო შავგულიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

სხდომის მდივანი
გრიგოლ სულუხია

ალექსი ყანჩაველი

გიორგი ყურმაშვილი

ნოდარ ასპანიძე

რომან ქურდაძე

რევაზ მორგოშია